1 მარტი

2019 პარასკევი

ზირ 6,5-17; ფს 118; მარ 10,1-12

ვისაც ღმერთი შეაუღლებს, კაცი ნუ განაშორებს მარ 10,9

ღმერთის საქმეები არ მოისპობა. მისი უმ-
შვენიერესი საქმე მეუღლეთა კავშირია,
- კავშირი, რომელიც ყველაზე შესაფერის
გარემოს ქმნის შვილების აღზრდისა და მო-
მწიფებისათვის, მათი სიმშვიდისა და სიხა-
რულისათვის. მრავალი ცდუნება არსებობს
ამ კავშირის წინააღმდეგ, და ზოგიერთი
მათგანი თავად ადამიანის გულში იშვება.
ცოლი და ქმარი ყოველდღე ყურადღებით
მოეკიდებიან საკუთარ გრძნობებს ურთი-
ერთსიყვარულში და არ დაუშვებენ, რომ
მსგავსი რამე სხვა ადამიანების მიმართ
გაუჩნდეთ.

2 მარტი

2019 შაბათი

ზირ 17,1-13; ფს 102; მარ 10,13-16

უფალმა მიწისაგან შექმნა ადამიანი ზირ 17,1

ვიდრე მთლიანად წავიკითხავდეთ მოკლე მონაკვეთს, დავანებოთ, რომ ჩვენი გულიდან იშვას სულიწმიდისადმი ვედრება. და ჩვენ აღმოვაჩენთ სასწაულებს! მამამ მიწისაგან შეგვქმნა, რათა მუდამ მდაბალნი და უპოვარნი ვიყოთ მის წინაშე; რათა არცერთი წუთით არ შევწყვიტოთ მისი ღმრთიური, მაცოცხლებელი სუნთქვის თხოვნა. ასე ჩვენ შევძლებთ მისი სიყვარულის სიტკბოების, ყოვლისშემძლეობისა და მარადიული ძღვენის დაგემოვნებას.

3 მარტი

2019 კვირა

ზირ 27, 4-7(5-8); ფს 91; 1კორ 15,54-58; ლკ 6,39-45

დედის დღე

ჯერ შენი თვალიდან ამოიღე დირე ლკ 6,42

საკუთარ თვალში დირეს დანახვა და მისი ამოღება დროს მოითხოვს, ბევრ დროს, იმდენად ბევრს, რომ ცოტა დროღა რჩება სხვების ბეწვზე საფიქრალად! ვინც საკუთარ თავზე ამგვარი "შრომა" გასწია, მხოლოდ მან იცის ნამდვილად, როგორ დაეხმაროს სხვებს: ის იქნება სანდო წინამძღოლი, ყურადღებით რომ უსმენს სულის ხმას, და ის გამონახავს საკუთარი გულის კეთილ სიტყვებს, რათა დაეხმაროს სხვებს, რომ იესოს, ჭეშმარიტ მოძღვარს, უფალსა და ერთადერთ მსაჯულს, გაჰყვნენ.

4 მარტი

რიგითი VIII კვირა [IV] მწ

წმ. კაზიმირი, +1484

2019 ორშაბათი

ზირ 17,19-24(20-28); ფს 31; მარ 10,17-27

ნეტარია კაცი, ვის სულშიც არ არის სიცრუე ფს 31,2

ნეტარია კაცი, რომელსაც არ აქვს ნიღაბი თავისი გულისთქმის დასამალავად. თანაც, რის დამალვას შევძლებთ უფლის წინაშე? ამის გაკეთების მცდელობაც კი სისულელეა! ნეტარია, ვინც მთელ თავის სიგლახაკეს ღმრთის დიად გულმოწყალეობას უძღვნის. და მაინც, ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც, ორპირობის მდგომარეობაში აღმოვჩნდებით ხოლმე: უფალს ვეუბნებით, რომ გვიყვარს, მაგრამ არსებითად მეტ აზრს ვანიჭებთ რაღაც სხვას. ასე მოიქცა ის ვიღაცაც დღევანდელ სახარებაში: ვერ შეიცნო ჭეშმარიტი ნეტარება და დამწუხრებული, საკუთარი სიმდიდრით ცდუნებული გაუყვა გზას.

5 მარტი

რიგითი VIII კვირა [IV] მწ

2019 სამშაბათი

ზირ 35,1-12(1-15); ფს 49; მარ 10,28-31

მოწყალების გამღები ქების მსხვერპლს სწირავს ზირ 35,4

ჩვენ, ქრისტიანები, ერთი ოჯახის ნაწილი ვართ, რომელშიც პირველი ადგილი უფალს ეკუთვნის. ოჯახის მამა, თავისი შრომით, მთელი დღის მანძილზე რომ ასრულებს, თავისი სულგრძელი გულით უპოვართა მიმართ, არის ქება მამის მიმართ. ბერი, რომელიც თავისი ძალღონის უდიდეს ნაწილს ლოცვას უძღვნის, კვლავაც ქებაა უფლის მიმართ. უფალი ნაყვარებია ჭეშმარიტებით, ერთისგანაც და მეორისგანაც, და მათი წყალობით კვლავაც შეუძლია თავისი კურთხევის მოფენა მთელ ქვეყნიერებაზე.

6 მარტი

ნაცრის დაყრის ოთხშაბათი, [ს], [IV] ი

(22.II) წმმ. ცხრანი ყრმანი კოლაელნი, VIს, წამებულნი

2019 ოთხშაბათი

იოელ 2,12-18; ფს 50; 2კორ 5,20-6,2; მთ 6,1-6.16-18

მძიმე მარხვის დღე

დამიბრუნდით მთელი თქვენი გულით, მარხვით, ტირილითა და გლოვით

იოელ 2.12

უფალი გვაძლევს მადლის დროს, რომ დავუბრუნდეთ მას "მთელი გულით". ამას ვიწყებთ მარხვითა და მონანიებით, ვალად რომ გვადევს ყველას, როგორც ერთ დიდ ოჯახს. ყოველდღიურად მივდივართ იესოს აღდგომისაკენ. დავანებოთ, რომ ლოცვამ და მისმა სიტყვამ გააღვივოს ჩვენში - პაპ ფრანცისკეს ძვირფასი ნათქვამისამებრ - "სირცხვილი ჩვენი ცოდვის გამო": ჩვენ შევიცნობთ ცოტათი მეტ სიხარულსა და სრულ თავისუფლებას, იესომ რომ მოგვიტანა თავისი ტანჯვითა და თავისი ჯვრით.

7 მარტი

ხუთშაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV] ი

მოხს.: წმ. პერპეტუა და ფელიციტა, წამ. +202/203

2019 ხუთშაბათი

რფლ 30,15-20; ფს 1; ლკ 9,22-25

იგია შენი სიცოცხლე

და დღეგრძელობა

რფლ 30,20

ძველ აღთქმაში დღეგრძელობა გაგებულია, როგორც ადამიანსა და ღმერთს შორის ჰარმონიის ნიშანი. დღეგრძელობა ნოესთან ოთხმოცდაათ წელზე მეტია, ფსალმუნებში კი "სამოცდაათი წელიწადი, ხოლო ჯანმაგრობის დროს - ოთხმოცი წელიწადი". ჩვენს დროში მეცნიერება ხელს უწყობს მის ზრდას, თუმცა მუდამ ჭეშმარიტებად რჩება ის, რაც გუშინ ითქვა: მტვერი ხარ და მტვრად იქცევი. ვინაიდან ამქვეყნიური ცხოვრება არაა ჩვენი საბოლოო მდგომარეობა: მამამ ხომ მოგვიმზადა... მარადისობა! იქ მართლაც იქნება სრული ჰარმონია მასთან, ვისაც გამოუთქმელად ვუყვარვართ და ვინც თავის სიცოცხლეს გვიძღვნის.

8 მარტი

პარასკევი ნაცრისყრის შემდეგ [IV]ი

წმ. იოანე ღმრთისა, ბერი +1550

2019 პარასკევი

ეს 58,1-9; ფს 50; მთ 9,14-15

ქალთა საერთაშორისო დღე

შეჰღაღადებ უფალს და იტყვის: "აქ ვარ" ეს 58,9

უფალი გვაძლევს სამადლო პერიოდს, ჩვენი ცხოვრება რომ განვაახლოთ, რათა საამური იყოს ის უფლის თვალში, ჩვენ კი დავტკბეთ მისი მეგობრობით, მისი ძლიერი შეწევნით. დღეს, ძველი აღთქმის გვერდი გვიჩვენებს გზას: ლოცვა და მსხვერპლი სასურველია მამისთვის, როდესაც სიყვა-რულიდან მოდის, იმ სიყვარულიდან, რო-მელიც მაშინაა ჭეშმარიტი, როდესაც მისი შვილებისა და ჩვენი ყველაზე უპოვარი და გაჭირვებული ძმებისადმი გულმოწყალე-ობის იარაღად იქცევა.

9 მარტი

შაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV] ი

წმ. ფრანცისკა რომაელი, მონაზონი, +1440

2019 შაბათი

ეს 58,9-14; ფს 85; ლკ 5,27-32

მუდამ წინ წაგიძღვება უფალი ეს 58,11

რა მშვენიერი დაპირებაა! თუმცა, მას წინ უსწრებს ხუთი "თუ", რომლებიც შეიძლებება ამგვარად შეჯამდეს: «თუ შეუერთდები ჩემს სიყვარულს ჩაგრულისადმი, მშიერისა და ტანჯულისადმი; თუ მოწყალე იქნები მოყვასისადმი, როგორც მე, შენი უფალი, ვარ». დიახ, უფალი მუდამ მზადაა, რომ ხელი ჩამჭიდოს და ნათელი და მადლი მიბოძოს: ამ დიდმარხვის ჟამს შევეცდები, მეც მზად ვიყო, რომ მას დავემსგავსო.

10 მარტი

2019 კვირა

რჯულ 26,4-10; ფს 90; რომ 10,8-13; Lc 4,1-13

უფალს, შენს ღმერთს, ეცი თაყვანი ლკ 4,8

უდაბნოში ეშმაკი სთხოვდა იესოს, რომ თაყვანი ეცა მისთვის, და სანაცვლოდ მთელ ამქვეყნიურ ხელმწიფებას ჰპირდებოდა. მაგრამ იესოს უყვარდა მამა და მხოლოდ მას უძღვნიდა საკუთარ გულს... სულო წმიდაო, ჩვენც გაგვიძეხი ამ დიდმარხვაში, როგორც იესოს უძღოდი უდაბნოში: ჩვენ შევიცნობთ და ავირჩევთ მამის ნებას, მაშინაც კი როდესაც ძნელადსავალ გზებზე გვატარებს და გვთხოვს, რომ საკუთარ თავში მოვკვდეთ. ასე ჩვენ გავიზრდებით, როგორც მისი შვილები, მისი სიცოცხლის, სიყვარულისა და კურთხევის ძლიერი და სიხარულით სავსე მატარებელნი.

11 მარტი

2019 ორშაბათი

ლევ 19,1-2.11-18; ფს 18; მთ 25,31-46

იუავით წმიდა, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, თქვენი ღმერთი ლევ 19,2

თუ არ ვარ წმიდა, მაშასადამე თუ იმას არ ვაკეთებ, რასაც ღმერთი აკეთებს და რისიც მწამს, და თუ მას არ ვემსგავსები, მაშინ როგორ ვამოწმებ მას? ვერანაირად. და პირიქით, მას ცუდად წარმოვაჩენ და სახელს ვუტეხ იმის თვალში, ვისაც ჯერ არ სწამს მისი. მაგრამ რა არის მისი სიწმიდე? ესაა სიყვარული: სიყვარული, მის ყოველ მცნებაში რომაა; სიყვარული, სიხარულით მიწოდებულ წყლის ჭიქაში რომ იმალება.

12 მარტი

2019 სამშაბათი

ეს 55,10-11; ფს 33; მთ 6,7-15

ნუ მიგვატოვებ განსაცდელში მთ 6,13

ჩვენ ვიცნობთ ამ სიტყვას: ისაა ნაწილი ლოცვისა, იესომ რომ დაგვიტოვა, - მამაო ჩვენო. კვლავაც რომ ვილოცოთ: "ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში", მუდამ დარწმუნებულნი ვიქნებით, რომ არასდროს არავითარი ბოროტება არ შეგვემთხვევა მამისგან, რომელიც არ გვიბიძგებს ცდუნებისაკენ. ცდუნებაში, რომელიც შეიძლება ჩვენი ერთგულების გამოცდად იქცეს, იგი ჩვენთან ახლოსაა, გვიცავს, "გამარჯვებით გვამკობს", გვიხსნის იმისგან, ვისაც ჩვენი დაცემა უნდა. მაგრამ მას სურს, რომ ეს თავად ვთხოვოთ მდაბალი რწმენით.

13 მარტი

2019 ოთხშაბათი

იონ 3,1-10; ფს 50; ლკ 11,29-32

მოექცეს ყოველი კაცი თავისი ბოროტი გზიდან იონ 3,8

ნინევის ხალხი ძალზე დიდ ცოდვებში ჩავარდა, მაგრამ, წინასწარმეტყველის სიტყვით, მეფიდან დაწყებული, ძლიერ მოინანია და უფლის წყალობა ითხოვა. და უფალმა, ესოდენ დიდი ლმობიერებით, მისი წინასწარმეტყველიც რომ გააღიზიანა, შეცვალა ხალხის დასჯის გადაწყვეტილება და მიუტევა მას. ხოლო ჩვენ, ვინც იესოს ვუჭვრეტთ, ჯვარზე რომაა ჩვენი ცოდვების გამო, ნუთუ არ ვთხოვთ მოტევებას, ტკივილითა და სრული დარწმუნებულობით?

14 მარტი

დიდმარხვის I კვირა [I] ი

2019 ხუთშაბათი

ესთ 4,17 ი.ρ-ρ.αα-ιιβ.ββ-ιιη; ფს 137; მთ 7,7-12

გვიხსენი ჩვენი მტრების ხელიდან ესთ 4,17 ιιη

დიდმარხვის ჟამს, ჩვენ ვართ მოხმობილ-
ნი და შეწევნილნი, რომ საკუთარ მტრებს
ვებრძოლოთ. ასეთი ავბედითობისას, ძა-
ლადობისა და ომების დროს, მნიშვნელო-
ვანია გვახსოვდეს, რომ ადამიანები როდი
არიან ჩვენი მტერი, არამედ ყოველი სუ-
რვილი, ყოველი ჩვევა, ყოველი მიდრეკი-
ლება, ყოველი იდეა, აზროვნების ყოველი
მიმდინარეობა, რომელიც გვაშორებს მე
და დანარჩენებს იმისგან, ვისაც მამასავით
ვუყვარვართ. მამაო, ნდობით გევედრებით:
გვიხსენი ჩვენი მტრების ხელიდან. ჩვენი
გულიდან დაიწყე.

15 მარტი

დიდმარხვის I კვირა [I] ი

2019 პარასკევი

ეზეკ 18,21-28; ფს 129; მთ 5,20-26

იცოცხლებს იგი, არ მოკვდება! ეზეკ 18,28

მამა ჩვენი, იესოს და ყველა იმ ძმის მეშვეობით, რომელთაც უკვე გამარჯვებით განვლეს სიცოცხლის გზა, გვარწმუნებს: შესაძლებელი და ძალზე კარგი რამაა იმისგან დაშორება, რაც ღმერთს არ ეამება და რაც ჩვენშია და მშვიდობას, სიხარულსა და ძმებთან თანაზიარებას გვართმევს. ახლა ხელსაყრელი დროა; ახალი ცხოვრება უნდა დავიწყოთ აღმდგარ იესოსთან ერთად.

16 მარტი

დიდმარხვის I კვირა [I] ი

(3.III) წმ. იოანე IV (V) ოქროპირ კათალიკოსი, +1048

2019 შაბათი

რიჯლ 26,16-19; ფს 118; მთ 5,43-48

გიყვარდეთ თქვენი მტრები მთ 5,44

რატომ გვთხოვს იესო ამდენს? იმიტომ, რომ უსაზღვროა სიყვარული იმ ღმერთისა, მან რომ გამოგვიცხადა. თუ მხოლოდ იქამდე გვეყვარება, სადამდეც ადამიანის აზროვნება და ჩვენი გონება გვყოფნის, ვერ ვიქნებით მისი მოწაფეები, ვერ ვიწამებთ მას, ვერ ვიქნებით ქრისტიანები. იესოს სურს, ჩვენში გააღვივოს წადილი, რომ მამას მივესგავსოთ. ამ წადილის შესასრულებლად კი, რაც თავისთავად შეუძლებელია, სულიწმიდას გვიბოძებს. მისი სულია, ღმერთის მსგავსად სრულყოფილ სიყვარულს რომ შეგვაძლებინებს!

17 მარტი

დიდმარხვის ჟამის II კვირადღე, «გ», [II], ი

2019 კვირა

დაბ 15,5-12.17-18; ფს 26; ფილიპ 3,17-4,1; ლკ 9,28-36

იესო მარტო აღმოჩნდა ლკ 9,36

სამმა მოწაფემ მთაზე იხილა იესოს დიდება
და ამით განცვიფრებულნი დარჩნენ; მათ
იხილეს მოსე და ელია და მოისმინეს სი-
ტყვა ზეციდან. შემდეგ "იესო მარტო აღმო-
ჩნდა": ესაა მისი უბრალო, მდაბალი, ზოგ-
ჯერ ადამიანთაგან უარყოფილი ყოფნა.
მაგრამ მოწაფეებმა ახლა იციან, რომ მამის
მოწონებულია იესო: მხოლოდ იესოსთან
ერთად მიდიან მტკიცედ მისკენ.

18 მარტი

დიდმარხვის II კვირა [II] ი

წმ. კირილე იერუსალემელი, ეპ. და მოძ. +386

2019 ორშაბათი

დან 9,4-10; ფს 78; ლკ 6,36-38

მიეცით და თქვენც მოგეცემათ ლკ 6,38

ყველას შეგვიძლია სულგრძელად და დიდსულოვნად გავიღოთ მოწყალება: მივუტევოთ, მშვიდობა ვუსურვოთ, გავუღიმოთ, მივესალმოთ, პატივი ვცეთ, მოწიწება გამოვიჩინოთ; ძმას ის მივცეთ, რაც სიცოცხლეს ასაზრდოებს, და არა სიკვდილს! მამა დაიცავს სიტყვას, იესომ რომ გადმოგვცა ჩვენ.

19 მარტი

2019 სამშაბათი

წმ. იოსები,
ნეტ. ქალწ. მარიამის მეუღლე დდ, [ს], თ

2მეფ 7,4-5.12-14.16; ფს 88; რომ 4,13.16-18.22; მთ 1,16.18-21.24 (ან, ლკ 2,41-51)

არლის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

იოსებ, ნუ გაშინებს შენი ცოლის, მარიამის მიღება მთ 1,20

ესაა წმ. იოსების დიდდღესასწაული, ყველა მამის დღესასწაულად რომ იქცევა. ამჯერად, საჩუქარი თქვენ უნდა მოამზადოთ, ბავშვებო! მშვენიერი ლოცვისა და მორჩილებით აღსავსე დღის საჩუქარი მიუძღვენით მამას. მაშინ უფალი წარმოგზავნის თავის ანგელოზს, რომ დიდი ნათელი, გაბედულება და ძალა მოუტანოს თქვენს მამას.

20 მარტი

დიდმარხვის II კვირა [II] ი

2019 ოთხშაბათი

იერ 18,18-20; ფს 30; მთ 20,17-28

ყური მომაპყარ, უფალო იერ 18,19

იერემია წინასწარმეტყველი, რომელსაც უყვარდა ხალხი და მის მეოხად იქცა უფალთან, ახლა იმავე ხალხის მიერაა დევნილი. ასე ემართება მას, ვინც სახარებისადმი ერთგული ცხოვრებითა და სიტყვით ქადაგებს უფლის გზას. ასეთი ადამიანები, ღმერთის მეგობრები და მათი ძმები, ბოროტს ბოროტით არ პასუხობენ; არამედ უფალს მიმართავენ, ჩვენს შორის რომ მოვიდა როგორც კრავი, და მას სთხოვენ ხსნას საკუთარი თავისა და ბოროტის ჩამდენთათვის: "ყური მომაპყარ, უფალო!".

21 მარტი

დიდმარხვის II კვირა [II] ი

2019 ხუთშაბათი

იერ 17,5–10; ფს 1; ლკ 16,19–31

მე, უფალი, გულთამხილავი ვარ
და ზრახვათა გამომცნობელი იერ 17,9

გმადლობ, მამაო, ამ სიტყვისთვის. არ მაშინებს ის, პირიქით, მშვიდობასა და შვებას მგვრის. თავად თქვი, რომ გული ძნელად განკურნებადია: მაგრამ შენთვის არაფერია შეუძლებელი! გმადლობ, რომ ხედავ, რამდენ იარასა და სისუსტეს სჭირდება შენი ხელი, რომელიც უტევებს, შვებას გვრის, კურნავს და სიცოცხლეს იძლევა.

22 მარტი

დიდმარხვის II კვირა [II] ი

2019 პარასკევი

დაბ 37,3-4.12-13.17-28; ფს 104; მთ 21,33-43.45-46

ბოლოს თავისი ძე გაგზავნა მათთან მთ 21,37

მამაო, იესოს ამ სიტყვებით ვხვდები, რაოდენ დიდია შენი ჩემდამი სიყვარული: მარტოს რომ მხედავ, უსიცოცხლოდ, უსიყვარულოდ, უსიხარულოდ, შენ ძეს მიგზავნი. მას მიგზავნი "ბოლოს": ყველა სხვა გზა სცადე, მაგრამ მხოლოდ შენმა მსხვერპლმა, მხოლოდ იმისმა მსხვერპლმა, ვინც შენ გიყვარს, შეძლო ჩემი დახსნა. მსურს, მუდამ შენი მადლიერი ვიყო, მამაო! მსურს, მუდამ მიგიღო შენ, იესო, მაშინაც კი როდესაც შენი სიყვარულით მიბიძგებ, რომ ჩემ თავსა და საკუთარ თავკერძობაზე ვთქვა უარი.

23 მარტი

დიდმარხვის II კვირა [II] ი
წმ. ტურიბიუს მონგროვეხოელი, ეპ., +1606
(10.III) წმ. ღირსი იოანე ხახულელი, X-Xსს, მონაზონი

2019 შაბათი

მიქ 7,14-15.18-20; ფს 102; ლკ 15,1-3.11-32

ეს ჩემი ვაჟი მკვდარი იყო და გაცოცხლდა ლკ 15,24

ეს ფრაზა, იესო რომ წარმოათქმევინებს იმ მამის ბაგეებს, მეამბოხე და უზნეო ძის დაბრუნებას რომ ზეიმობს, უფრო შორს მიმართავს ჩვენს მზერას. ჩვენ მოგვიცავს ადამიანური აზროვნება, რომელიც ინსტინქტურად აჯილდოვებს კარგებს და სჯის ცუდებს. ადამიანური სამართლიანობიდან ღმრთის სიყვარულზე გადავდივართ. ვინც მამისთვის ძეა, ჩემთვის ძმაა: განა მეც არ ვიზეიმებ, განა არ გავიზიარებ მამაჩემის სიხარულს? მას შემდეგ, რაც მისი გულში ჩაკვრის სიტკბოებას ვიგემებ ყოველ ჯერზე, როდესაც მისგან გავიქეცი, შემდეგ კი მასთან დავბრუნდი, ნუთუ გულში არ ჩავიკრავ ჩემს ძმას, რომელიც დაბრუნდება?

24 მარტი

დიდმარხვის ჟამის III კვირადღე, «გ», [III], ი

2019 კვირა

გამ 3,1-8.13-15; ფს 102; 1კორ 10,1-6;10-12; ლკ 13,1-9 (“ა” წლის კვირადღის საკითხავები იკითხება ამ შვიდეულის რომელიმე დღეს)

ბატონო, ამ წელიწადსაც დატოვე ლკ 13,8

გმადლობ, იესო, შენი მეოხებისათვის ჩვენ გამო, ვინაიდან ყოველი ჩვენგანისათვის მამას უძღვნი შენს ჯაფას, ტანჯვასა და სიცოცხლეს. შენს წმიდა ეკლესიაში თითოეულ ჩვენგანზე ზრუნავ: შენ გსურს, რომ მამის წინაშე წარგვადგინო, მისი ჟამი რომ მოვა, შენი ნათლით გაბრწყინებულნი. ქმენ ყოველივე, რაც საჭიროდ მიგაჩნია, იესო; აგვარიდე, რაც კი სიცოცხლეს გვართმევს: შენს სიყვარულზე ვართ დანდობილნი.

25 მარტი

2019 ორშაბათი

უფლის ხარება, დდ, [ს],თ

(12.III) წმ. მეფე დემეტრე თავდადებული (+1289), წამებული

ეს 7,10-14; 8,10გ; ფს 39; ებრ 10,4-10; ლკ 1,26-38

ჭიათურის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ნუ გეშინია, მარიამ ლკ 1,30

"ნუ გეშინია, მარიამ": სიტყვა, რომელსაც ანგელოზი ეუბნება მარიამს, არის სიტყვა ღმრთისა, იმ ღმერთისა, რომელიც მამაა, რომელიც ყოვლისშემძლეა სიყვარულში. იგი ასრულებს თავის აღთქმას, თავისი ხსნის ჩანაფიქრს: მან წარმოგვიგზავნა თავისი ძე, იესო. ახლა კი შეგვიძლია ვთქვათ: "ნუ გეშინია, ... (შენი სახელი)"; თუკი იესოს მიიღებ, მეტად აღარ უნდა გეშინოდეს და აღარ შეიძლება გეშინოდეს! გმადლობ, მარიამ, ვინაიდან ჩვენს გამოც მიიღე იესო!

26 მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

2019 სამშაბათი

დან 3,25.34-43; ფს 24; მთ 18,21-35

მ. ემანუელ ვარდიძის გახსენება (+1966)

შეებრალა ბატონს მთ 18,27

იესო პასუხობს პეტრეს შეკითხვას: "... რამდენჯერ უნდა მივუტევო?". იესოს სურს, მას ასწავლოს, რომ თავი დაანებოს ანგარიშს; ნაცვლად, მას უჩვენებს მამის გულს და მოუხმობს, რომ გაითავისოს თანაგრძნობა, მასში რომ სუფევს. მაშინ კი პეტრე სხვა ვეღარაფერს შეძლებს, გარდა სამარადისო სიყვარულისა; ვეღარაფერს შეძლებს, გარდა სამარადისო მიტევებისა.

27 მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

2019 ოთხშაბათი

რჯულ 4,1.5-9; ფს 147; მთ 5,17-19

აღსასრულებლად მოვედი მთ 5,17

იესოს წყალობით, ჩვენს გამო ჯვარზე მისი თავგანწირვის წყალობით, შეგვიძლია სულიწმიდის ნიჭი მივიღოთ. ეს გვეხმარება, რომ გვქონდეს სიყვარულის ურთიერთობა, შვილებრივი ურთიერთობა მამასთან, და ასე ახალი ნათელი მოვფინოთ მის სიტყვებს და ერთმანეთს დავეხმაროთ მათ შესრულებაში. იესო მართლაც გაცხადების აღსრულებაა!

28 მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

2019 ხუთშაბათი

იერ 7,23-28; ფს 94; ლკ 11,14-23

ციდან ნიშანს მოითხოვდნენ მისგან ლკ 11,16

იესოს მიმართ ამგვარი თხოვნა
უგუნურებაა! ცოტა ხნის წინ მან ეშმაკი
განდევნა, ხოლო კაცი, მანამდე რომ მუნჯი
იყო, ალაპარაკდა: ზოგიერთი ამბობს,
რომ იესომ ეს სასწაული ეშმაკის ძალით
ჩაიდინა, სხვები მას ნიშანს სთხოვენ
ბუნებრივ მოვლენებში. ისინი მართლაც
"ქედმაგარნი არიან", მათ მსგავსად,
ვისაც ღმერთი საყვედურობდა იერემიას
პირით. მომიტევე, მამაო, ვინაიდან ყური
არ ვათხოვე შენს მრავალ ძვირფას
სიტყვასა და შენი სიყვარულის მრავალ
ნიშანს. მომანიჭე სიმდაბლე, რათა მივიღო
"ნიშანი", რომელსაც მუდამ სიხარულით
მაძლევ: რომელიც იესოა!

29 მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

(16.III) წმმ. ღირსნი პიმენ სალოსი და ანტონ მესხი, XIIIს

2019 პარასკევი

ოს 14,2-10; ფს 80; მარ 12,28-34

ისმინე, ისრაელო მარ 12,29

ნაკლებად თავაზიანმა პასუხმა, გუშინ
საღამოს რომ გავეცი, დაარღვია ჩემი
სიმშვიდე, ჩემი ლოცვა და ურთიერთო-
ბა იმ ადამიანთან. იესო, შენ მომმადლე,
რომ მეთხოვნა მოტევება და მიმეღო ის.
ახლა უფრო ყურადღებით ვიქნები: ვიდრე
პირს გავაღებ, მოვისმენ მას, რასაც გულში
ჩამინერგავ. შენ აქ ხარ და მამა ხარ ჩემ-
თვის: მსურს, მივიღო სიცოცხლე - აზრები,
გრძნობები, სიტყვები - მხოლოდ შენგან!

30 მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

2019 შაბათი

ოს 6,1-6; ფს 50; ლკ 18,9-14

ფარისეველი იდგა და თავისთვის ლოცულობდა... ლკ 18,11

"თავისთვის": არის მცირე დეტალი, რომელიც მრავლისმეტყველია. ფარისეველი, რომელიც ტაძარში მებაჟის წინ ლოცულობდა, თავისი თავითაა მოცული და საკუთარ თავშია ჩაკეტილი. სინამდვილეში, ის არ ლოცულობს, არ მიმართავს ღმერთს, არამედ საკუთარ თავს: სინამდვილეში, ის თავს იქებს ღმერთის წინაშე, სხვებს კი აძაგებს. რასაკვირველია, შემიძლია მადლობა შევწირო და, მეტიც, უნდა შევწირო უფალს, იმის გამო, რომ ბოროტება არ ჩამიდენია, მაგრამ არ შეიძლება საკუთარი თავის ქება: ყველაფერი მისი მადლია.

31 მარტი

დიდმარხვის ჟამის IV კვირადღე, «გ», [IV], ვ

2019 კვირა

იესო 5,9.10-12; ფს 33; 2კორ 5,17-21; ლკ 15,1-3.11-32 (“ა” წლის კვირადღის საკითხავები იკითხება ამ შვიდეულის რომელიმე დღეს)

ავდგები, წავალ მამასთან ლკ 15,18

მოვიკრებ ძალას და წავალ მამასთან, ვინც მისურვა და შემქმნა, მასთან, ვისაც ვუყვარვარ. მას მივანდობ ჩემს სიცრუესა და ცოდვას, ჩემს სიმარტოვეს, ჩემს უიმედობასა და დიდ შინაგან სიღატაკეს. ვიცი, რომ იგი მელოდება, რომ მიმიღებს. თავისი ეკლესიის საიდუმლოში მაძლევს მტკიცე რწმენას. მისი სიყვარულიდან კვლავაც მექნება სიცოცხლე.